

ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“

რიგა/თბილისი, 2015 წლის მაისი

საქართველოში ნამების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ბოლო ათწლეულის მანძილზე არსებული გამოწვევები

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი:

ცირა ჭანტურია

„ციხის საერთაშორისო რეფორმა“

რეცენზენტი:

კორნელი კაკაჩია

რედაქტორი:

ლია კაჭარავა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი „ლია საზოგადოება საქართველო“

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2014 წლის სექტემბრიდან (როცა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) პირობითად ძალაში შევიდა) 2015 წლის აპრილამდე.

დოკუმენტი მომზადებულია ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“ შიდა პროექტის ფარგლებში – ევროკავშირ/საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ. ტექსტისა და კომენტარების ავტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“ მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

შემაჯავებელი მიმოსილვა

ბოლო ათწლეულის მანძილზე როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის არარსებობა საქართველოში ნამების პრევენციას აბრკოლებს. ბოლო პერიოდში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა დააჩქარა იმ კონკრეტული პრიორიტეტების წინა პლანზე წამოწევით, რომლებიც ასოცირების დღის წესრიგში იყო მოცემული. ერთ-ერთი პრიორიტეტია ნამების პრევენცია და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა დამოუკიდებელი და ეფექტური საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბების გზით.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში ხაზგასმულია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბების გადაუდებელი აუცილებლობა ნამების ბრალდებების გამოსაძიებლად, არსებული მექანიზმის ნაკლოვანებების შეფასებით და იმ საერთაშორისო მოთხოვნებზე აქცენტირებით, რომლებიც საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს ასოცირების დღის წესრიგის შესრულების მიზნით. შემოთავაზებული მექანიზმი დამოუკიდებელი უნდა იყოს ინსტიტუციურ, ინდივიდუალურ და პრაქტიკულ დონეზე, პროკურატურისგან დამოუკიდებელი მანდატით. ბოლო წლებში განხორციელებული გამოძიებების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ამ მექანიზმმა შესაძლებელი უნდა გახადოს მიმდინარე და წარსულში არსებული საჩივრების გამოძიება ნამებისა და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან ნამების მუქარის შესახებ. მექანიზმის ხელმძღვანელები პარლამენტმა უნდა დანიშნოს და ისინი მის მიმართ უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი. საჭიროა, რომ საგამოძიებო ორგანო აღჭურვილი იყოს ყველა აუცილებელი ფინანსური და ადამიანური რესურსით.

ხელისუფლების ამ ღონისძიებას მხარს უნდა უჭერდეს და მონიტორინგს უწევდეს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება და ევროკავშირი, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. საბოლოო ჯამში კი, მისი ფუნქციონირება გამჭვირვალე უნდა იყოს და ანგარიშვალდებული საქართველოს მოქალაქეების წინაშე.

შესავალი

ევროკავშირისა და საქართველოს შორის 2014 წელს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით და რატიფიცირებით საქართველომ ვალდებულება აიღო, რომ განამტკიცებდა კანონის უზენაესობას, სამართალდამცავი ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებას და მართლმსაჯულების განხორციელებას, ასევე უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვას.¹ ევროკავშირისა და საქართველოს შორის 2014-2016 წწ ასოცირების დღის წესრიგი შეიცავს დებულებებს, რაც წამების და არასათანადო მოპყრობის პრევენციის გაძლიერებას ეხება.² ამის გარდა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ საქართველოს 2014 წლის ანგარიშში³ ევროკავშირმა გასცა რეკომენდაცია, რომ გაიზარდოს სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულება და დემოკრატიული ზედამხედველობა, ასევე მოუწოდა საქართველოს, რომ უზრუნველყოს სისხლის სამართლის გამოძიებებისა და დევნის გამჭვირვალე, პოლიტიკური მოტივაციის გარეშე და მიუკერძოებლად განხორციელება. ამას გარდა, ხაზგასმულია დამოუკიდებელი და ეფექტური საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბების გადაუდებელი აუცილებლობა სამართალდამცავი უწყებების მიერ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების საპასუხოდ, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ჩათვლით.

საქართველოს ხელისუფლებამ წამების ბრალდებების ზედმინევით, გამჭვირვალედ და დამოუკიდებლად გამოძიების საკითხი შეიტანა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების „ეროვნულ სამოქმედო გეგმებში“⁴ (2014-2015 წწ). ეს, ასევე შესაბამისი უწყებების ვალდებულებაცაა, რაც ცალსახად არის მოცემული „ადამიანის უფლებების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში“ (2014-2015 წწ).⁵

წინამდებარე დოკუმენტში გაანალიზებულია არსებული მექანიზმების ნაკლოვანებები და შემოთავაზებულია გამოსავალი, საერთაშორისო სტანდარტებისა და წამების წინააღმდეგ ბრძოლისთვის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერების კუთხით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

მიღობები და შედეგები

დამოუკიდებელი და ეფექტური საგამოძიებო მექანიზმის არარსებობა საქართველოსთვის ხელისშემშლელი ფაქტორია წამების ეფექტიანი პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რაც შემაშფოთებელია სამოქალაქო სექტორის, სახალხო დამცველის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქართული საზოგადოებისათვის. მაშინ, როცა საქართველოს შესახებ მომზა-

¹ მუხლი 4, 13, მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“, ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf (2015 wlis 3 aprilis mdgomareobiT)

² იხილეთ პრიორიტეტი 2.1. http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-georgia_association_agenda_da.pdf

³ საქართველოში ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ანგარიში 2014 წ. და სამოქმედო რეკომენდაციები, ბრიუსელი, 25.3.2015 SWD (2015) 66 საბოლოო, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://eeas.europa.eu/enp/pdf/2015/georgia-enp-report-2015_en.pdf (2015 წლის 3 აპრილის მდგომარეობით)

⁴ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №1516 (2014 წლის 3 სექტემბერი) და №59 განკარგულებებით (2015 წლის 26 იანვარი).

⁵ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №445 დადგენილებით (2014 წლის 9 ივლისი).

დებული ადგილობრივი და საერთაშორისო ანგარიშები (სახალხო დამცველის (ომბუდსმენის), წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT), წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისიის, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის და ა.შ.) ათწლეულზე მეტია, რაც შეშფოთებას გამოხატავდა ამ საკითხთან დაკავშირებით, მედიაში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო-კადრების გავრცელებამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ანგარიშებში გატარებული იყო აზრი, რომ პოლიციის თუ საპატიმრო დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან წამებისა და არასათანადო მოპყრობის ბრალდებების გამოუძიებლობა ხელისუფლების ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, რომელიც ფარულად უჭერდა მხარს სისტემური და მასშტაბური წამების პრაქტიკას⁷ და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმებს საქართველოს ციხეებში, დანაშაულის მართვისა და ციხეებში დისციპლინის უზრუნველყოფის მიზნით. საჩივრებსა და შემდგომი გამოძიებების თუ წარმატებით განხორციელებული დევნის რაოდენობებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შესაბამისი სამთავრობო უწყებების უმოქმედობაზე მეტყველებს.

2012 წლის მიწურულს ახალი მმართველი კოალიციის არჩევამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით, რომელიც მიმართული იყო ციხეების გადატვირთულობის პრობლემის მოგვარებასა და პატიმართა მიმართ უფრო ჰუმანური მოპყრობის დაწესებაზე. იქიდან გამომდინარე, თუ რა ზეგავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე პატიმრების წამებისა და შეურაცხყოფის ამსახველი ვიდეოების გავრცელებამ, ახალი მთავრობა საზოგადოებრივი წნეხის ქვეშ მოექცა, რომ მრავალი ბრალდების საქმე გამოეძიებინა პატიმრების არასათანადო მოპყრობის თაობაზე. მთავარი პროკურატურის მონაცემების⁸ მიხედვით, სისხლის სამართლის შვიდი საქმე აღიძრა და 38 დამნაშავეს ბრალად წაუყენეს წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ან ძალაუფლების გადაყენება 2012 წლამდე დაფიქსირებული ფაქტების შესაბამისად არსებული ბრალდებების საფუძველზე. სახალხო დამცველის თანახმად, ამჟამინდელი მთავრობის ღონისძიებების დახმარებით საქართველოს ციხეებში სისტემური წამება და არაადამიანური მოპყრობა აღმოიფხვრა, თუმცა, დაგროვდა ათასობით საქმე, რომლებიც გამოსაძიებელია. გარდა რამდენიმე საქმისა, ჯერჯერობით რაიმე შედეგი მიღწეული არ არის.

იმის მიუხედავად, რომ 2013 წელს სასჯელაღსრულებისა და პოლიციის ბევრი ყოფილი თანამდებობის პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, შეფარდებული სანქციები დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, ვერ პასუხობდა ვერც საერთაშორისო სამართლის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ვერც საზოგადოების მოლოდინს. სავარაუდოდ დამნაშავეებთან საპროცესო შეთანხმებები გაფორმდა და შეფარდებული სანქციები კანონით გათვალისწინებულზე გაცილებით ნაკლები იყო. ერთი დამნაშავე სრულად განთავისუფლდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით.⁹ ამით ნათელი გახდა, რომ თუნდაც წამებასთან დაკავშირებული სკანდალისა და მაღალი საზოგადოებრივი მოლოდინის მიუხედავად, ახალი მთავრობის პოლიტიკა მაინც არ ასახავდა პრინციპულ მიდგომას წამების წინააღმდეგ ბრძოლისა და დამნაშავეების დასჯის მიმართ. სავარაუდოდ, ეს ნაწილობრივ იმ

⁶ „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“ (OSGF), 2014 „დანაშაული და გადამეტებული სასჯელი: საქართველოს საპატიმროებში ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბი და მიზეზები“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.osgf.ge/files/2015/Publication/Final_Report_ENG.pdf (2015 წლის 17 აპრილის მდგომარეობით) [მთარგმნელის შენიშვნა: დოკუმენტი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.osgf.ge/files/2015/Publication/Final_Report_-_GEO.pdf]

⁷ უზენაესი სასამართლოს ნერილი №27-კ (თარიღი: 26.04.2012) „ციხის საერთაშორისო რეფორმას“, 2007 წელსა და 2012 წლის პირველ კვარტალს შორის წამების დანაშაულისთვის სასჯელი მიესაჯა 10 ადამიანს.

⁸ სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2014 წელი“, გვერდი 314, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/oth-er/2/2439.pdf>, (2015 წლის 3 აპრილის მდგომარეობით) [მთარგმნელის შენიშვნა: დოკუმენტი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf>]

⁹ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განაცხადი სასჯელაღსრულების სისტემაში წამების ფაქტების გამოძიების შესახებ, 2013 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://transparency.ge/en/node/3408> (2015 წლის 18 აპრილის მდგომარეობით) [მთარგმნელის შენიშვნა: დოკუმენტი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://transparency.ge/post/general-announcement/sasjelaghrulebis-datsesebulebebsi-tsamebis-paktebis-gamodziebasta-dakav/>]

ფაქტით იყო გამოწვეული, რომ ყოფილი მთავრობის ზოგიერთი მაღალჩინოსანი გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობაზე დარჩა სამართალდამცავ უწყებებში.

გამოძიებებთან დაკავშირებით რაიმე არსებითი გაუმჯობესება არ შეინიშნება არც ამჟამად. სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში ხაზგასმულია, რომ სამართალდამცავი უწყებების მიერ წამების და არასათანადო მოპყრობის საქმეების დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება ჯერ კიდევ პრობლემური საკითხია 2013 და 2014 წლებში. ფაქტობრივად, 2014 წელს ამ საკითხების გამოძიება არ განხორციელებულა. პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა სპეციალური თემატური ანგარიში¹⁰ მოამზადა ამ საკითხთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა, რომ „წლების განმავლობაში, დაკავებული პირების წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საქმეების არასათანადო გამოძიება საქართველოს სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი იყო. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სახალხო დამცველი მუდმივად აყენებდა ამ საკითხს თავის ანგარიშებში, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაცვლელად არანაირი მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა.“¹¹

ზემოთ აღწერილი, პოლიტიკურ ნებასთან დაკავშირებული მიზეზების გარდა, ასევე არსებობს სირთულეები, რაც დაკავშირებულია ინსტიტუციურ კულტურასა და სამართალდამცავი უწყებების იერარქიულ კავშირებთან, რაც ინსტიტუციურად დამოუკიდებელი მექანიზმის ჩამოყალიბებას აუცილებელს ხდის. ნათელია, რომ პოლიტიკური, ასევე ინსტიტუციური ზეგავლენისგან თავისუფლება საჭირო სამართალდამცავი უწყებების მიერ ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად გამოძიებისათვის.

თავის 2013 წლის ანგარიშში, თომას ჰამარბერგმა, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების ყოფილმა კომისარმა რეკომენდაცია გასცა თავისი, როგორც საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმისა და ადამიანის უფლებების საკითხში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის უფლებამოსილების ფარგლებში, რომ „მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების განხორციელების ამ ეტაპზე, საქართველომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დაყოვნების გარეშე და წარსულში არსებული სისტემატური დარღვევების ისტორიის ჩრილში, თუ რა არის საუკეთესო გზა ადამიანის უფლებების დარღვევის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოებისათვის, სადაც კი არსებობს ეჭვი, რომ ამ საქმეებში სამართალდამცავები მონაწილეობდნენ. ამის განხორციელებით, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა სცადონ, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ ის საზიანო შედეგები, რომლებიც შედეგად მოაქვს „კოლეგების მიერ კოლეგების საქმის გამოძიებას“.¹² ქვეყნის ახლო წარსულიდან გამომდინარე, ჰამარბერგის რეკომენდაციაა სანდო და სრულად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა, რომელიც „წარსულში ჩადენილ სამართალდარღვევებს გამოასწორებს და ისეთ სისტემას შექმნის, რომლის მიზანია დარღვევების ეფექტურად პრევენცია“, ნებისმიერი ბრალდების დროული, ზედმინივნიითი და ეფექტური გამოძიების ჩატარებით.

¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სამართალდამცავთა მიერ ჩდენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტური გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები“, თბილისი, 2014 წ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://ombudsman.ge/uploads/other/2/2316.pdf> (2015 წლის 3 აპრილის მდგომარეობით) [მთარგმნელის შენიშვნა: დოკუმენტი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1702.pdf>]

¹¹ იქვე

¹² ტომას ჰამარბერგი, საქართველო გარდამავალ პერიოდში, „ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები“, 2013 წლის სექტემბერი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://eas.europa.eu/delegations/georgia/documents/virtual_library/cooperation_sectors/georgia_in_transition-hammarberg.pdf, გვერდი 23 [მთარგმნელის შენიშვნა: დოკუმენტი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/20130920_report_ka.pdf]

თუ გავითვალისწინებთ აქამდე არსებულ დაუსჯელობის პრობლემას, ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო დონეზე არსებულ შეშფოთებას წარსულში მომხდარი სისტემური დარღვევების შესახებ, ასევე დაგროვებული გამოსაძიებელი საქმეების დიდ რაოდენობას, აუცილებელია დადგინდეს, რა პრობლემა აქვს საქართველოს ინსტიტუციურ მექანიზმს და რატომ ვერ იძიებს წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებს. ეს უნდა გაკეთდეს იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ღონისძიებები წამების პრევენციისთვის როგორც ახლა, ასევე მომავალში.

ნაგავისა და არასათანადო მოპყრობის საგამოძიებო სისტემის ამაღინდელი შეზღუდვები და საქართველოს ინსტიტუციური მექანიზმით¹³ და მქაანზგებით დანესაპული მოთსოვნები

საერთაშორისო ინსტრუმენტებში მოცემულია, როგორ უნდა ფუნქციონირებდეს დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმები წამების გამოსაძიებლად. საჭიროა აღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინება ასეთი მექანიზმის საქართველოში დანერგვის დროს. ევროპის ადამიანის უფლებათა სამართლო გამოძიების ეფექტურობას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით აფასებს: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ზედმინეენითობა; მყისიერება; კომპეტენცია; ასევე დაზარალებულის მონაწილეობა საზოგადოებრივ ზედამხედველობაში.

საერთაშორისო მოთხოვნების საპირისპიროდ, გამოძიების ამჟამად არსებულ სისტემაში შემდეგი ნაკლოვანებები შეიძლება გამოვლინდეს:

- **გამოძიების დანყების საფუძვლები** – გამოძიება იშვიათად იწყება საჩივრის გარეშე. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გამოძიება უნდა ხორციელდებოდეს მაშინ, როცა არის წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის ნიშნები, ოფიციალური საჩივრის გარეშეც.
- **არადეკვატური სანქციები** – სამართალდამრღვევები იშვიათად წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე და ამ დროსაც კი სანქციები მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და მახასიათებლებს არ შეესაბამება.
- **გაურკვეველი უფლებამოსილება** – პროკურატურას გააჩნია დისკრეცია, როცა გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიების გაგრძელების შესახებ, ძალოვანი სამინისტროების შესაბამისი საგამოძიებო დანაყოფებიდან (მაგ. შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულების სამინისტრო);
- **საგამოძიებო მექანიზმის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობა** – გამოძიების ეფექტურობისთვის, გამოძიებაზე პასუხისმგებელი და მისი განმახორციელებელი პირები დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები უნდა იყვნენ, სამართლებრივადაც და პრაქტიკაშიც. ეს ნიშნავს არა მარტო იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირების არარსებობას ამ ბრალდებებში ჩართულ პირებთან, არამედ, ასევე პრაქ-

¹³ გაეროს კონვენცია წამების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევენციული სამართალი, წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) მე-14 ზოგადი ანგარიში, გაეროს პრინციპები წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის ეფექტური გამოძიების და დოკუმენტაციის შესახებ, სტამბოლის პროტოკოლი

ტიკულ დამოუკიდებლობას. სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლების ლოიალობა, „კრიმინალების“ მიმართ, რომელთა წინააღმდეგაც საქმეები მიმდინარეობს, ხშირად ხელს უშლის ეფექტურ და ზედმინეცნით გამოძიებებს.

- **არასათანადო სტანდარტით განხორციელებული გამოძიება, რომლებიც არ არის ზედმინეცნით შესრულებული, ყოვლისმომცველი, დროული და დაჩქარებული** – გამოძიების დროულად დაწყების ან სასამართლო სამედიცინო შემონგების მოთხოვნის შეუძლებლობა წარსულში გამოძიების¹⁴ არაეფექტურობას და შემდგომ ბრალდებებს იწვევდა. ხშირად სავარაუდო არასათანადო მოპყრობა არასწორად იყო დაკვალიფიცირებული უფლებამოსილების გადამეტების მუხლით და არა წამების¹⁵ თუ არასათანადო მოპყრობის¹⁶ მუხლით.

გამოძიების არაეფექტურობასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორებია:

- **არანაირი დაცვის გარანტიები მამხილებელი პირებისთვის¹⁷ (whistle blowers)** – შიშისა და სადამსჯელო ზომების გამო, დაკავებული პირები/პატიმრები უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე, რადგანაც მათ არც კანონი იცავს, არც პრაქტიკა არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებისას და ისინი სავარაუდო მოძალადეების ხელში რჩებიან. ისინი, ვინც სავარაუდოდ წამება ჩაიდინეს, მაინც თანამდებობაზე რჩებიან.
- **სუსტი სასამართლო ზედამხედველობა** – მოსამართლეები არ მოიკვლევენ ინფორმაციას, ხომ არ დაექვემდებარა ბრალდებული არასათანადო მოპყრობას და არც დაუყოვნებლივ გამოძიების შესახებ არ იღებენ გადამწყვეტილებას.
- **მტკიცებულებათა შეგროვება** – ა) მტკიცებულების ნაკლებობა თავისუფლების შეზღუდვის/აღკვეთის ადგილებში სავარაუდო არასათანადო მოპყრობით გამოწვეული ფიზიკური დაზიანებების/ფსიქიკური შედეგების არასათანადო დოკუმენტირების გამო, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის შედეგები არ პასუხობს სტამბოლის ოქმით დადგენილ სტანდარტებს; ბ) ციხეებში არსებული ვიდეოთვალთვალის სისტემები არ იძლევა საშუალებას, რომ ჩანანერები 24 საათზე მეტი ხნით იყოს შენახული. ამგვარად, პოტენციური მტკიცებულება უკვე წაშლილია იმ დროისთვის, როცა საჩივარი მთავარ პროკურატურამდე მიაღწევს.

¹⁴ საქართველოში პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის და ძალის გადამეტების გაჭიანურებული და არაეფექტური გამოძიების საკითხი ასახული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადამწყვეტილებებსა და CPT-ის ანგარიშებში CPT.47 Cf. „ლარიბამფილი საქართველოს წინააღმდეგ, 2008 წლის 29 ივლისის გადამწყვეტილება.“

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 144¹

¹⁶ იქვე, მუხლი 144³

¹⁷ გაეროს კონვენცია წამების წინააღმდეგ, მუხლი 13 „მიიღება ზომები საჩივრის ან ნებისმიერი მონმის ჩვენებების გამო, მომჩივნის და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისაგან დასაცავად“

დასკვნები და რეკომენდაციები

წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიების არსებული სისტემა, საერთო ჯამში, ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო ორგანოების/მექანიზმების მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს. პრაქტიკის ცვლილება მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნებას, საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების დაცვას, ასევე ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს.

შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორც ზემოთ იქნა აღწერილი, გთავაზობთ დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტებს გამოიძიებს, რომლის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული იქნება სპეციალიზებული განყოფილება წამების და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ბრალდებების გამოძიებისთვის. იმისათვის, რომ ამ ორგანომ წარმატებით იმუშაოს, საჭიროა, რომ:

- ის იყოს დამოუკიდებელი ინსტიტუციური, ინდივიდუალურ და პრაქტიკულ დონეზე, პროკურატურისგან განცალკევებული დამოუკიდებელი მანდატით.
- იყოს უფლებამოსილი გამოიძიოს როგორც ამჟამინდელი, ასევე წარსულში არსებული ბრალდებები წამებასა და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის, ასევე წამების მუქარის შემთხვევებზე (რეტროაქტიულობა);
- მას ხელმძღვანელობდნენ პარლამენტის მიერ დანიშნული და მის მიმართ ანგარიშვალდებული პირები;
- აღჭურვილი იყოს ყველა აუცილებელი ფინანსური და ადამიანური რესურსით, შეეძლოს მიუკერძოებელი სასამართლო სამედიცინო და სხვა ექსპერტიზის დანიშვნა, საჭიროების მიხედვით.

და ბოლოს, ამგვარი ექსპერტიზის დროს გამოყენებული მეთოდები ყველაზე მაღალ პროფესიულ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს. აუცილებელია, რომ შედეგები საჯარო გახდეს, საზოგადოებისადმი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ამ მექანიზმის დანერგვისთვის, ხელისუფლებამ დისკუსიები უნდა დაიწყოს წამების, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის ღონისძიებების განმარტორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. ეს უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი მონაწილე მხარეები, სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით, ჩართულნი იქნებიან კონცეფციის მომზადებაში, სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და გრაფიკის შედგენაში ამ მექანიზმის დასაწესად. ეს კი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების სამუშაო გეგმის შესაბამისად, ასევე განხორციელებისთვის დადგენილი გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ინკლუზიურობის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე უნდა გაკეთდეს.

